საქართველოს
საავტორო უფლებათა
ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

წლიური ანგარიში 2020

სარჩევი

შესავალი	2
წარმომადგენლობა	4
განაკვეთები	7
ლიცენზირება	8
სასამართლო	11
ჰონორარის შეგროვება	12
ჰონორარის განაწილება-გადახდა	16
საზოგადოებრივი ცნობიერება	19
საჯაროობა-გამჭვირვალობა	20
სამომავლო გეგმები	21

შესავალი

2020 წელი, ჩვენი ორგანიზაციისათვის, ისევე როგორც მთლიანად ქვეყნისთვის, საკმაოდ რთული იყო. მსოფლიო პანდემიიდან გამომდინარე დაწესებული შეზღუდვების გამო არაერთმა მოსარგებლემ (რესტორნები, კაფე-ბარები, სასტუმროები, სავაჭრო დაწესებულებები, კონცერტები, თეატრები და სხვა) ხანგრძლივად შეაჩერა ან შეწყვიტა საქმიანობა, რამაც პირდაპირპროპორციული, უარყოფითი გავლენა იქონია შეგროვებული და გადახდილი ჰონორარის მაჩვენებლებზე.

მოსარგებლეების რაოდენობის კლების გარდა, მოქმედი შეზღუდვების ფონზე, არსებული მოსარგებლეების საქმიანობაც არასტაბილურად და საგრძნობი ფინანსური დანაკლისით მიმდინარეობდა. ეს ფაქტი მხედველობაში იქნა მიღებული ჩვენს მიერ და ზოგიერთი ტიპის მოსარგებლისათვის განაკვეთების შემსუბუქების პოლიტიკა გატარდა.

კვლავ დიდ გამოწვევად რჩება რუსეთის მიერ შექმნილი ორგანიზაციის, საქართველოს უფლებამფლობელთა ასოციაციის (GERA) უკანონო საქმიანობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს კოლექტიური მართვის ორგანიზაციისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს და ამას სახელმწიფო ორგანოს, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის, საქპატენტის პოზიციაც არაერთგზის ადასტურებს, იგი კანონის დარღვევით კვლავ ითხოვს ჰონორარს მოსარგებლეებისაგან. არაუფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ მოსარგებლეებზე აგრესიული თავდასხმა უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყანაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების განვითარებაზე და შესაბამისად ასოციაციის მუშაობაზეც.

ისევე როგორც გასულ წლებში, კვლავაც დიდ როლს თამაშობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით წარმართული საქმიანობა. ფიზიკური შეხვედრების შეზღუდვის ფონზე

აქტივობებმა ძირითადად ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. წლის განმავლობაში ასოციაციამ მონაწილეობა მიიღო არაერთ მნიშვნელოვან ონლაინ ღონისძიებაში.

ასოციაცია ასევე აქტიური იყო რეპერტუარის გაზრდისა და მისი დამუშავების მიმართულებითაც. გაფორმდა არაერთი ხელშეკრულება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეელ უფლების მფლობელებთან.

ხაგრძლივმა შეზღუდვებმა განაპირობა ლიცენზირების პროცესის სხვა ისეთ სეგმენტებზე გადართვა, სადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების გამოყენების ტენდენცია ან შენარჩუნდა, ან გაიზარდა. ასეთი სეგმენტია მაგალითად ინტერნეტი, რომელიც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გამოყენების უმთავრეს პლატფორმად იქცა. შედეგად, გაიზარდა ამ სფეროში გაცემული ლიცენზიების რაოდენობა.

სეგმენტების დივერსიფიკაციის კუთხით უაღრესად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წლის ბოლოს მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორებს უარი ეთქვათ ჰონორარის გადახდის კანონისმიერი ვალდებულების არაკონსტიტუციურად ცნობაზე. ჰონორარი შეეხება ისეთი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების დამამზადებლებსა და იმპორტიორებს, რომლის საშუალებითაც/რომელზეც შესაძლებელია მუსიკალური და აუდიოვიზუალური ნაწარმოების რეპროდუცირება (ჩაწერა). მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირების მიერ პირადი სარგებლობის მიზნით რეპროდუცირებისთვის ჰონორარის გადახდის ვალდებულებას (Private Copying Levy) კანონი დიდი ხანია ითვალისწინებს, ამ ნორმის კონსტიტუციასთან შესაბამისობის განხილვა ჰონორარის შეგროვებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენდა.

წარმომადგენლობა

მსოფლიო პანდემიის მიუხედავად, კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი უფლების მფლობელების ასოციაციაში გაწევრიანება.

ხაზგასასმელია ორი მსოფლიო მოთამაშის ასოციაციაში პირდაპირი წესით გაწევრიანება. საავტორო უფლებების მიმართულებით Sony/ATV-ს კატალოგიდან Extreme Music-ი, საკმაოდ მოცულობითი რეპერტუარით და მომიჯნავე უფლებების კუთხით, წამყვანი ლეიბლი, Universal Music-ი ასოციაციის წევრები გახდნენ.

ასოციაციას დაემატა 146 წევრი

მუსიკის ავტორი	მუსიკისა და ტექსტის ავტორი	ტექსტის ავტორი	ლიტერა-ტურული ნაწარმოების ავტორი	რეჟისორი	სახვითი ხელოვნების ავტორი	შემსრულე-ბელი
18	42	16	36	7	15	12

წევრთა რაოდენობამ 2020 წლის ბოლოსთვის 2040 საავტორო და მომიჯნავე უფლების მფლობელი შეადგინა.

ასოციაციამ საერთაშორისო ასპარეზზეც მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ურთიერთწარმომადგენლობის გაფართოების კუთხით, რაც მოიცავდა როგორც საავტორო, ასევე მომიჯნავე უფლებების სფეროს. გასულ წელს გაფორმდა ათი ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება შვიდ კოლექტიური მართვის ორგანიზაციასთან.

მუსიკალური ნაწარმოებების საავტორო უფლებების სფერო

AKKA/LAA - ლატვია

ANCO - მოლდოვა (ორი ხელშეკრულება საჯარო შესრულება-გადაცემასა და მექანიკურ უფლებებზე)

სახვითი ხელოვნების სფერო

LATHA – ლიტვა

LITA – სლოვაკეთი

მომიჯნავე უფლებების სფერო

ITSRIGHT - იტალია (ორი ხელშეკრულება შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებებზე)

LSG - ავსტრია

ULCRR - უკრაინა (ორი ხელშეკრულება შემსრულებლებისა და ფონოგრამის დამამზადებლების უფლებებზე)

განაკვეთები

პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა განაკვეთების გადახედვის საჭიროებაც გამოიწვია. არსებულმა რეალობამ, როგორც განაკვეთების კორექტირება, ასევე მათი ნაწილობრივ შემსუბუქება მოითხოვა.

წლის განმავლობაში განხორციელდა გარკვეული განაკვეთების დიფერენცირება და ცალკე სეგმენტად კლასიფიკაცია. ასეთი სეგმენტებია სამედიცინო კლინიკებში, საავადმყოფოებსა და მსგავსი ტიპის სხვა დაწესებულებებში არსებული ესთეტიკური ცენტრები და ასევე ორგანიზაციების სატელეფონო ნომრებზე დაყენებული მოცდითი რეჟიმის მუსიკა ე.წ. Music on Hold-ი

გარკვეულ სეგმენტებში მოხდა განაკვეთების გამსხვილება. მაგალითისათვის, კაზინოებს დაემატა ტოტალიზატორები, ხოლო გამოფენებს და აუქციონებს მუზეუმები.

დაანგარიშების მეთოდის ცვლილება შეეხო ცეკვის სტუდიების განაკვეთს და შემოსავლის ნაცვლად, დაანგარიშების მეთოდად გახმოვანებული ფართობის მიხედვით ფიქსირებული ოდენობები განისაზღვრა.

სხვადასხვა სეგმენტის ციფრულ ადაპტაციასთან ერთად საჭირო გახდა მოსარგებლეების ლიცენზირება ინტერნეტ სფეროშიც. შესაბამისად, თეატრის განაკვეთს დაემატა განაკვეთი დრამატული ნაწარმოების ონლაინ გავრცელებისათვის.

გაფართოვდა მომიჯნავე უფლებების სფეროში არსებული განაკვეთებიც და შესაბამისად საკაბელო ოპერატორების, ტელე და რადიო კომპანიების მიერ ფონოგრამის პირველადი და ხელახალი საჯარო გადაცემისთვის ახალი განაკვეთები დადგინდა.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პანდემიის გამო დაზარალებულ სეგმენტებში, მუსიკალური ნაწარმოებების საჯარო შესრულებისა და საჯარო გადაცემისთვის დადგინდა შეღავათები და განაკვეთები შემცირდა 20%-ით.

ლიცენზირება

პანდემიიდან გამომდინარე ლიცენზირების პროცესის დაღმავალი ტენდენციის გამო, ფოკუსირება მოხდა ისეთ ახალ სეგმენტებზე, სადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტების გამოყენების ინტენსივობა გაიზარდა.

გასული წლების მსგავსად, როდესაც დალიცენზირდა ისეთი დიდი ციფრული მომსახურების მომწოდებლები (Digital Service Provider – DSP), როგორებიცაა: YouTube, Deezer, Facebook/Instagram, დაიწყო მოლაპარაკებები Netflix-თან და ა.შ. 2020 წელიც აქტიური იყო. გაფორმდა ლიცენზია Spotify-თან და მოლაპარაკებები აქტიურ ფაზაში შევიდა Apple Music-სა და TikTok-თან.

გარდა ინტერნეტისა, დალიცენზირდა ისეთი კომპანიები, რომლებიც კუთვნილ სატელეფონო ხაზზე მოცდითი რეჟიმის მუსიკას იყენებენ.

ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება ე.წ. Private Copying-ის სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ სეგმენტის ლიცენზირების თვალსაზრისითაც, რაც 2021 წლისთვის იგეგმება.

ლიცენზიების საერთო რაოდენობა



ლიცენზირების მაჩვენებელი თვეების მიხედვით

თვე	თბილისი	რეგიონი	სულ
იანვარი	71	6	77
თებერვალი	58	18	76
მარტი	28	6	34
აპრილი	0	0	0
მაისი	0	0	0
ივნისი	43	6	49
ივლისი	46	10	56
აგვისტო	58	5	63
სექტემბერი	42	8	50
ოქტომბერი	42	0	42
ნოემბერი	30	2	32
დეკემბერი	30	6	36

ლიცენზირების მაჩვენებელი სეგმენტების მიხედვით

ჰორეკა	398
ტელესამაუწყებლო ორგანიზაცია	2
რადიოსამაუწყებლო კომპანია	2
მოცდითი მუსიკა	8
თეატრი	22
კინოთეატრი	2
რეკლამა	28
მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება	47
სპორტული ღონისძიება	6

სასამართლო

პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე მნიშვნელოვნად იკლო სასამართლოში საქმის წარმოების ტემპმა. დავების უმეტესობა, მათ შორის არაუფლებამოსილი ორგანიზაციის წინააღმდეგ მიმართული დავები გაჭიანურდა და ვერც დისტანციურმა სხდომებმა უზრუნველყო პროცესების დაჩქარება. სასამართლო პროცესების გაჭიანურება მით უმეტეს პრობლემატურია იმ ვითარებაში, როცა, გასულ წელს, ასოციაცია გაცილებით მეტი დავის განხილვაში იყო ჩართული.

სასამართლო დავები

ასოციაცია მონაწილეობდა 203 სასამართლო დავაში

- მხარეთა მორიგებით დასრულდა 40 საქმე
- ასოციაციის სასარგებლოდ დასრულდა 17 საქმე
- მიმდინარეობს 146 საქმე

ჰონორარის შეგროვება

პანდემიამ, ჰონორარის დაგეგმილ შეგროვებასთან მიმართებაში დრამატული ცვლილება გამოიწვია. ჰონორარის შეგროვების შემცირებას ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა სეგმენტში. ახალი სფეროების ათვისებამ და ზოგ სეგმენტში ლიცენზირების გააქტიურებამ ამ დანაკლისის კომპენსირება ვერ უზრუნველყო.

ჰონორარის შეგროვების საერთო მაჩვენებელი

ჰონორარის სახით შეგროვდა 3 299 310.61 ლარი

- **საავტორო უფლებებზე 2 759 547.89 ლარი**
- **მომიჯნავე უფლებებზე 539 762.72 ლარი**
- **საქართველოში 3 165 421.41 ლარი**
- **საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით 133 889.20 ლარი**

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი თვეების მიხედვით

იანვარი	266 801,09	ივლისი	307 713,14
თებერვალი	353 717,40	აგვისტო	222 303,29
მარტი	309 634,97	სექტემბერი	341 173,25
აპრილი	206 728,82	ოქტომბერი	314 657,01
მაისი	137 717,43	ნოემბერი	213 545,10
ივნისი	168 815,24	დეკემბერი	456 503,87

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი სეგმენტების მიხედვით

ჰორეკა	1 400 686,20
ტელესამუწყებლო ორგანიზაცია	91 740,10
სატრანზიტო ოპერატორი	804 028,23
რადიოსამაუწყებლო კომპანია	113 117,38
ინტერნეტ სტრიმინგი	59 775,66
მოცდითი რეჟიმის მუსიკა	3 057,84
თეატრი	95 712,42
კინოთეატრი	25,00
რეკლამა	59 960,63
მასობრივ-სანახაობითი ღონისძიება	40 506,53
გამოცემა-რეპროდუცირება	54 896,00
საჯარო თხოვება	41 915,42

ჰონორარის შეგროვების მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

ACUM - ისრაელი	5 217,78	NCIP - ბელორუსი	13 191,60
AKKA/LAA - ლატვია	2 204,58	OSA - ჩეხეთი	316,95
AKM - ავსტრია	1 953,61	PRS - დიდი ბრიტანეთი	1 584,58
ARMAUTHOR - სომხეთი	208,72	SACD - საფრანგეთი	1 779,92
ARTISJUS - უნგრეთი	2 321,75	SACEM - საფრანგეთი	6 488,02
BOOSEY - გერმანია	11 239,39	SGAE - ესპანეთი	14 454,48
BUMA - ჰოლანდია	600,85	SOFAM - ბელგია	9 329,33
C ASH - ჩინეთი	474,14	SOKOJ - სერბეთი	346,66
EAU - ესტონეთი	1 376,52	STIM - შვედეთი	1 191,97
GEMA - გერმანია	30 028,69	SUISA - შვეიცარია	9 350,85
JASRAC - იაპონია	3 724,64	TEOSTO - ფინეთი	910,69
KODA - დანია	982,45	UACRR - უკრაინა	2 190,52
LATGA - ლიეტუვა	307,94	UCMR - რუმინეთი	8 573,11
		ZAIKS - პოლონეთი	3 539,46

ჰონორარის განაწილება-გადახდა

არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ჰონორარის განაწილება-გადახდის კუთხით, განსაკუთრებით კი შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფების გაუმჯობესების და დანერგვის მხრივ.

პანდემიით გამოწვეული შეფერხების მიუხედავად, წარმატებით განხორციელდა მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისათვის ჰონორარის განაწილების პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვის პირველი ეტაპი. პროგრამა შემსრულებელთა უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციების საბჭოს (SCAPR) ფინანსური დახმარებით, სერებეთის პარტნიორი კოლექტიური მართვის ორგანიზაციისაგან იქნა შეძენილი. ჰონორარის განაწილების გარდა, პროგრამაში ინტეგრირდება მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისა და მათი რეპერტუარის შესახებ დეტალური ინფორმაცია, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში ჰონორარის განაწილებას. თავის მხრივ, ეს მონაცემები გადაიგზავნება შემსრულებელთა საერთაშორისო ბაზაში (IPD) რეგისტრაციისთვის, რომლის სრულუფლებიანი კონტრიბუტორი ასოციაცია ამ პროგრამის საფუძველზე გახდება, ხოლო რეპერტუარის შესახებ ინფორმაცია გადაიგზავნება ვირტუალური ჩანაწერების მონაცემთა ბაზაში (VRDB), რომელში ინტეგრაციაც 2021 წელს იგეგმება.

გარდა მომიჯნავე უფლებათა მფლობელების ჰონორარის განაწილების პროგრამის შეძენისა, განახლდა საავტორო უფლებათა მფლობელების ჰონორარის განაწილების პროგრამა CoSIS-ი, რომლითაც უკვე წარმატებით ხორციელდება როგორც საერთაშორისო მუსიკალური გამომცემლობების, ასევე ადგილობრივი წევრების რეპერტუარის რეგისტრაცია და განაწილება CWR ფაილებით.

წლის განმავლობაში გადახდილია 1 745 617 ლარი

ადგილობრივი
814 წევრისთვის
1 171 726 ლარი

საზღვარგარეთის
24 პარტნიორი
ორგანიზაციისთვის
573 891 ლარი

სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილია 1 044 889 ლარი

დღგ
541 344 ლარი

საშემოსავლო
გადასახადი
499 545 ლარი

ქონების
გადასახადი
4 000 ლარი

ჰონორარის გადახდის მაჩვენებელი საზღვარგარეთის პარტნიორი ორგანიზაციების მიხედვით

UCMR - რუმინეთი	1 905	PRS - დიდი ბრიტანეთი	134 731
ACUM - ისრაელი	717	SACEM - საფრანგეთი	39 378
AKM - ავსტრია	3 393	SACM - მექსიკა	1 446
APRA - ავსტრალია	11 627	SADAIC - არგენტინა	2 054
ARTISJUS - უნგრეთი	496	SIAE - იტალია	25 734
ASCAP - აშშ	126 896	SOCAN - კანადა	12 569
BMI MEMBERS - აშშ	108 336	STIM - შვედეთი	10 666
BUMA - ჰოლანდია	3 605	SUISA - შვეიცარია	6 177
GEMA - გერმანია	32 042	TONO - ნორვეგია	2 166
JASRAC - იაპონია	6 842	UACRR - უკრაინა	2 153
KODA - დანია	2 988	UBC - ბრაზილია	16 640
LATGA - ლიეტუვა	1 843	PPL - დიდი ბრიტანეთი	19 486

საზოგადოებრივი ცნობიერება

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით წარმართული საქმიანობა ძირითადად ფოკუსირებული იყო ონლაინ სივრცეზე. ბევრი მნიშვნელოვანი ღონისძიების ონლაინ ჩატარებით რეალობასთან ადაპტირება წარმატებით მოხდა.

სამწუხაროდ, პანდემიამ გამოიწვია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების გადადება, როგორიცაა აშშ-ის სავაჭრო სამართლის განვითარების პროგრამის (CLDP) დაფინანსებით ჩასატარებელი სემინარი მოსამართლეებისა და ჟურნალისტებისათვის. მიუხედავად ამისა, იმავე CLDP-ისა და საქპატენტის ორგანიზებით დაგეგმეილი ყოველწლიური კონფერენცია, იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტთა ასოციაციის (ELSA) საზაფხულო სკოლა, ევროპის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ასოციაციის მონაწილეობით, წარმატებით ჩატარდა ონლაინ ფორმატში.

გასული წლის 16-18 სექტემბერს, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) ხელშეწყობით ჩატარდა საკმაოდ აქტუალური ონლაინ კონფერენცია, გლობალური ციფრული პროდუქტის ბაზარი, სადაც ასოციაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

ასევე, ინტენსიურად განიხილებოდა ინტერნეტ სერვის პროვაიდერების პასუხისმგებლობის საკანონმდებლო რეგულირების საკითხი, რისთვისაც გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები. USAID-ის პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და შეგროვდა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ამ კუთხით. დასკვნით ეტაპზე, 15 ივლისს შედგა დიალოგი კერძო და საჯარო სექტორის შორის საქართველოს პარლამენტში, სადაც მეკობრეობის წინააღმდეგ კანონმდებლობის კონკრეტული ინიციატივები იქნა განხილული. პანდემიის მიუხედავად, იგეგმება ამ ცვლილებების 2021 წელს იმპლემენტაცია.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება უკვე არაერთი წელია ჩვენს პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად, 2020 წელს, ამ თემამ მედიის ყურადღებაც არაერთხელ მიიპყრო. ასოციაცია სისტემატურად იყენებს სხვადასხვა სატელევიზიო და რადიო ეთერებს, ასევე ონლაინ და ბეჭდურ გამოცემებს საავტორო და მომიჯნავე უფლებების პრობლემატიკის გასაშუქებლად.

საჯაროობა-გამჭვირვალობა

„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით, კოლექტიური მართვის ორგანიზაციის საქმიანობის უმთავრეს პრინციპებს საჯაროობა და გამჭვირვალობა წარმოადგენს. ასოციაცია განუხრელად იცავს კანონის ამ მოთხოვნას როგორც სახელმწიფოს, ასევე უფლების მფლობელთა და სხვა დაინტერესებულ პირებთან მიმართებაში.

ასოციაციის მიერ მიღებული ყველა დოკუმენტი, მათ შორის დეტალური წლიური ანგარიში საჯაროა და ქვეყნდება ასოციაციის ვებ გვერდზე. უფლების მფლობელებს, გარდა წლიური ანგარიშისა, პერიოდულად მიეწოდებათ სრული ინფორმაცია შეგროვებული და გადახდილი ჰონორარის შესახებ, ასევე ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. წლიური ანგარიში ასევე ეგზავნება საქპატენტს და საერთაშორისო ქოლგა ორგანიზაციებს.

საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპი დაცულია დაინტერესებულ მესამე პირებთან, მათ შორის მოსარგებლეებთან მიმართებაშიც. გარდა საჯარო ხელმისაწვდომობისა, მოსარგებლეებს შეუფერხებლად მიეწოდებათ მათთვის საჭირო ინფორმაცია (განაკვეთები, დებულებები, დადგენილებები და სხვა).

სამომავლო გეგმები

მსოფლიო პანდემიამ განსაკუთრებით დააზიანა საავტორო უფლებების სფერო. შეზღუდვების გამო შეჩერდა ან შეწყდა არაერთი ისეთი საქმიანობა, სადაც საავტორო და მომიჯნავე უფლებებით დაცული ობიექტები აქტიურად გამოიყენებოდა და საიდანაც ჰონორარის დიდი ნაწილი გროვდებოდა. შესაბამისად, ჰონორარის შეგროვების ნიშნული რამდენიმე წლის წინანდელ ნიშნულამდე დაეცა. სამომავლო გეგმებიდან მთავარი პრიორიტეტი სწორედ ჰონორარის შეგროვების მაჩვენებლის გაზრდა და ერთგვარი რეაბილიტაციაა. თუმცა, ეს ყოველივე პირდაპირპროპორციულად დამოკიდებულია ასეთი საქმიანობების აღდგენის ტემპზე.

ერთ-ერთ პრიორიტეტს ასევე წარმოადგენს ახალი სეგმენტების ლიცენზირება. ამის ნათელი მაგალითია განაკვეთების ზემოხსენებული მოდიფიკაციაც. ინტერნეტ სფეროს ლიცენზირების გააქტიურებასთან ერთად, დიდი როლი უნდა იქონიოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ ე.წ. Private Copying-ის სფეროდან ჰონორარის შეგროვების კუთხით.

საავტორო და მომიჯნავე უფლებების განვითარებას ისევ მნიშნელოვნად აფერხებს არაუფლებამოსილი ორგანიზაციის უკანონო საქმიანობა. ამ მიმართულებით ასოციაცია კვლავ აქტიურად იქნება ჩართული როგორც სამართლებრივ დავებში, ასევე უფლების მფლობელებისა და მოსარგებლეების ინფორმირებაში.

შედარებითი ანალიზი



თბილისი 2021